

ხელის-მოწერა
თბილისში: ბუთის „ღრუბის“ კორპუსში
ქუთაისში: ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.
ბათუმი შემდეგი ადრესით უნდა დაიხაროს:
Въ Тбилизѣ, въ редакціи газеты „ДРОБЕА“.

გაზეთის შანი
ზაგავენით: ერთი წლით—ექვსი მან., ნახევარი წლით—სამი მან., სამი თვით—ერთი მან. და ხუთთვეთი შაური, ერთი თვით—სამი აბაზი.
წერილები ამ ადრესით უნდა გამოგზავნონ:
Въ Тбилизѣ, въ редакціи газеты „ДРОБЕА“.

რედაქცია: ძველი ინსტიტუტის ქუჩაზე, სოლომონ მირიანოვის სახლებში. ქანტარა: ივანოვის ბიბლიოთეკაში, სასახლის მეიდანზე, შაბურაძის სახლებში.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

საქართველო: სალაში, — ძველი სა-
მოქალაქო მმართველობის შემოსავალი-გასა-
ვალი, — წერილი ამბები. — რუსეთი: წერილი
ამბები. — უცხო ქვეყნები: საფრანგეთი, —
შერმანია, — მსხალეთი. — საქართველო ს.
ცხოვრებიდან: მართებლების მასხველებელი ორ-
კენი ბერი. — ნარევი. — განცხადებანი.
შელტონი: სამეგრელოს სურათი — შ. სი.

საფრანგეთის ხალხი—ცხოველი, მოძრაეა;
წარმატების მოსურნე და მუდამ კაცობრიო-
ბის სიკეთისათვის მებრძოლი ხალხის მაგა-
ლითს წარმოამდგენდა.

შვეიცარიის დანახვა მეორე მხრით იყო
ჩემთვის თვალის ამხილველი.

ეს პატარა, ალბების მთა-კლებზე და
ტბების ნაპირებზე მიჭუჭყული ხალხი მერო-
პის ყველა ხალხებზე უფრო თავისუფალია
და ამასთანავე ყველაზედაც უფრო მომეტე-
ბულის კეთილმდგომარეობით სარგებლობს.
ბედნიერ გარემოებს ისეთი დედა-მიწის ნა-
წილი მიუნიჭებია იმისთვის, რომ თავისუფ-
ლად, დაუბრუნებლად დი უშიშარად ცხოვ-
რება შეუძლიან. არც მომეტებული პო-
ლიტიკური დედა, არც მთავრობისაგან შე-
ვიწროება, არც ეხლანდელი სოციალური
მდგომარეობის მომეტებული უსამართლოე-
ბა იმას ძალიან არ აწუხებს.

სამშობლოს თავგადადებით სიყვარულმა,
თავისუფლებამ და გაუწყვეტელმა, მოუ-
სვენარმა შრომამ—შეღარებით ბედნიერი და
კეთილი ცხოვრება მიანიჭა იმას.

დღეს მე ისევ ჩემს ქვეყანაში, ჩემს ხალხ-
ში, ჩემს „ღრობასთან“ ვბრუნდები.

რა ცვლილებას ან წარმატებას ვხედავ აქ?
— არაფერია!

ისევ ის მიძინებული საზოგადო ცხოვრე-
ბა. ისევ ძველებური წერილმანი, კერძო
სარგებლობისათვის და ინტერესებისათვის
თავგანწირული ბრძოლა. ისევ ძველებუ-
რი უთანხმოება, შფოთი და განხეთქილე-
ბა თანამომეგებსა, თანამემამულეებს შუა.

საზოგადო სამშობლოსა და საზოგადო
საქმეების ზრუნვის მაგიერ — პიროვნებითი
სარგებლობის სამსახური, სიყვარულის მა-
გიერ — სიძულვილი, შრომის მაგიერ — უზ-
რუნველობა, იმედის მაგიერ — სასოწარკვე-
თილება!

ეს ჩვეულებრივი სიუბე ჩვენი საზოგა-
და ნაკლულევანებისა და სიძუნწე წარმა-
ტებაში მე არ მაკვირვებს: ერთ წელიწადში,
არათუ ხალხი და საზოგადოება, ვერც კერ-
ძო პირი გამოიცვლის იმ ხასიათებს, რომე-

ლიც რამდენიმე ათი წლის განმავლობაში
შეუთვისებია, სამწუხარო მხოლოდ ის არის,
თუ ამის ლტოლვილებაც არა ჩანს.... მაგ-
რამ ამის თქმას ჩვენს ხალხზე არ გავებ-
დავ...

რაც უნდა იყოს, დღეს მე სინაურულით და
სიამოვნებ... ვბრუნდები ჩემს სამშობლო
ქვეყანაში, და ვიჭერ ამავე ალბას, რომელიც
ერთი წლის წინათ მეჭირა.

უცხო ქვეყნებისა და ხალხების დანახვამ
ჩემი ქვეყანა და ხალხი უფრო მომეტებუ-
ლად შემაყვარა. იმათ ცხოვრების გაცნო-
ბამ საუკეთესო მომავლის იმედი და მომე-
ტებული ენერჯია აღძრა ჩემში...

ეს იმედი იქნება ჩემი წინამძღომელი და
ენერჯია ჩემი საქმის წინ წამწევი....

სალაში მკითხველს!

ს. მესხი.

კამკასიის სამოქალაქო მმართველობის შემოსავალ-გასავალი

ხშირად გაიგონებთ ხოლმე ჩვენში ზო-
გიერთ მოსულ პირებისაგან, რომ კამკასიის
შემოსავალი გასავლის მეოთხედს და ვერც
მესუთედს ვერ შეადგენსო; რამდენიც იხარ-
ჯება კამკასიაზე, იმის მესუთედიც ძლიერს
შემოდისო. ეს აზრი რომ სრულებით მარ-
თალი არ არის, დასამტკიცებლად მოგვყავს
რამდენიმე სინტერესო ციფრები ერთი რუ-
სული გაზეთიდან.

1868-წლამდე კამკასიის სამოქალაქო მმარ-
თელობის შემოსავალ-გასავალი ადგილო-
ბრივ ფინანსური ადმინისტრაციის ხელ-
ში იყო. შინანსის სამინისტრო მხოლოდ
იმ შემთხვევაში გამოგზავნიდა კამკასიაში
ფულებს, როდესაც ადგილობრივი შემოსა-
ვალი გასავალს ვერ აუფილდა. 1868 წლი-
დან, როგორც დანარჩენს რუსეთის იმპე-
რიაში, კამკასიაშიც კასის ერთობა და სმე-
ტური სისტემა შემოიღეს. ამის შემდეგ ფი-
ნანსის სამინისტროს სულ თან-და-თან ნაკ-
ლების დამატება სჭირია ყველა გასავლის

დასაკმაყოფილებლად. მხოლოდ მომავალ
1875 წელს ფინანსის სამინისტროს უფრო
მომატებული ხარჯი დასჭირდება, რადგან,
როგორც რუსული გაზეთი ამბობს, ერთის
მხრით შემოსავალმა იკლო და გასავალი
კი მატულობსო.

ამნაირად 1875 წელს უნდა შემოვი-
დეს — 6,840,448., წელს კი შემოსავალი
შეიღ მილიონზე მეტი იყო. შევლავ უფ-
რო მოაკლდა ხაზინას თამბაქოს შემოსავე-
ლიდან (405,000 მან. უფრო ნაკლები, ვიდრე
წელს); ამის მიზეზი ახალი აქციის სისტე-
მის შემოღება იყო.

გასავალი უნდა იქნეს — 6,962,075 მან.,
ე. ი. 126,182 მანეთით უფრო მომეტებუ-
ლი, ვიდრე წელს იყო.

ამ ანგარიშიდან ცხადია ჰქვია, რომ
ცენტრალური ფინანსური ადმინისტრაცია
სულ 396,873 მანეთს იძლევა კამკასიის
სამოქალაქო მმართველობის შემოსავალ-გა-
სავლის გასათანასწორებლად.

ამ ანგარიშში ას ფულები არ არის, რა-
საკვირველია, მოყვანილი, რაც კამკასიის ჯა-
რებზე და ერთი სიტყვით, რაც კამკასიის
მხედრობაზე იხარჯება.

სიამოვნებით ვაცნობებთ „ღრობის“
მკითხველებს, რომ უფ. პ. წერეთელი, რომ-
ელიც, სხვა და სხვა მიზეზების გამო, უკა-
ნასკნელი წლის განმავლობაში მონაწილე-
ობას არ იღებდა ჩვენს გაზეთში, ეხლა ისევ
დაგვიბრდა თავის თანამშრომლობას.

მთელი საქართველოდან წელს საზოგადო
ღვინის მოსავალზე ძალიან კარგი ხმები ის-
მის. ამბობენ, ძახეთში, შართლში და იმე-
რეთში ამისთანა ღვინის მოსავალს ეს ოცი
წელიწადია არ მოსწრებიაო. ღვინის მად-
ლით ძახეთს ჯერ არც კალია სწევია და
არც სტყვია.

ლომა და სიმინდს კი უჩივიან იმერეთში.
მეწერენ, კარგი ამინდები არ ჰქონდაო ზაფხუ-
ლი წვიმიანი და შემოდგომა კი ქარიანი იყოო.

* *

ფელტონი

სამეგრელოს სურათი

ბევრი ხანი იყო, რაც სამეგრელო არ
მენახა; ორიოდ სიტყვა რომ ვიცოდი, ისეც
თითქმის დამიწყებია; ხალხის ხასიათი და
ჩვეულება რაღაც მეუცხოვა, ასე რომ ახ-
ლა, ათი წლის შემდეგ, მეგონა უცნობს ხალხს
ვნებადი. ამ დროის განმავლობაში სამეგ-
რელოში შემოსულა ახალი წესი, ყმები
განთავისუფლებულან. და ამ ახალ-წყო-
ბას დაუგდია ხალხის ცხოვრება თავის
მამაპაპური გზად და მიუცია სრულე-
ბით სხვა ნაირი მიმართულება; ერთის

სიტყვით სამეგრელოს ხალხის ცხოვრებაში
დაწყებული ისეთი ისტორიული პროცესი,
რომელიც გვიან თუ აღრესამეგრელოს ხალხს
მიიყვანს განათლების კარამდინ სხვა საქარ-
თელოს ნაწილებზედ აღრე. ჩვენ გვინდა
განუზიაროთ მკითხველს ზოგიერთი აზ-
რი, ახლანდელს სამეგრელოს მდგო-
მარეობაზე და იმედა, რომ ეს აზრი უსარ-
გებლოდ არ დარჩეს მკითხველისათვის. რა-
გორც ყმების განთავისუფლებამდინ, აგ-
რეთვე ახლაც, სამეგრელოში მთელი ხალ-
ხი განიკოფების ორ ნაწილად: ერთის მხრით
დგას აზნაურობა და მეორეს მხრით გლე-
ხობა; ეს უკანასკნელი, ე. ი. გლეხობა უ-
წინდელ დროში იყო მიწის მუშა და აზნაუ-
რობის მჩინელი, ამ ნაირად წინეთ ერთი
ნაწილი არჩენდა მეორეს.

მებატონეს საზრდა თავის დღეში საზ-
რუნველად არ ჰქონდა; ამისათვის ეს ოჯა-
ხის თავი უფრო ღრავს გასატარებელ საქ-
მეებს ეწაფებოდა: ნადირობდა, დღიოდა
სტუმრად „ვითარარის“ მღერით და სხვა...

ამასთან, როგორც ყველამ იცის, ანდრია
მოციქულის აქეთ ყველანი ზრახვენ მეგ-
რელებს ქურდობისათვის. მაგრამ ეს ჩვეუ-
ლება, ჩემის აზრით, უწინ უფრო დროს გა-
სატარებლად იყო და არა თივის სარჩენ
საშუალებად; მაგრამ საზოგადოების უმე-
ტეს ნაწილს ეს ჩვეულება მიანდა სა-
სირცხილოდ და კაცის პატრონების და-
მამკირებელ საქმედ.

მაგრამ დროთა ვითარებამ შესცვალა მა-
თი გული და დაიწყებია მამაპაპური პატიო-
სანი გრძობა. ის მამული, რომელიც უწინ

ჰქონდა ერთს მემამულეს, ახლა დაიყო ხუთ
ანუ ექვს მემკვიდრეებ შორის; მამასადამე
ერთხელ კარგი და მდიდარი მამული შემ-
კირდა. ამასთან მოვიგონოთ, რომ აზნაუ-
რობას შემდეგ გლეხებიც ჩამოერთვათ დაე-
კარგათ ლუკმა-პური და შრომას გადაჩვეული
წოდება დარჩა თივის გაღარიბებულ მა-
მულში.

რასაკვირველია, რომ ამ ნაირ დგომა-
რეობაში თივის თავს ვერ იჭრენდა აზნაუ-
რობა. მუცელმა თივისი მოითხოვა და ის
უხერო ჩვეულება ახლა თივის სარჩენელ
წყაროდ გადაექცა აზნაურობის ზოგიერთს
ნაწილს. ამ ჩემს სიტყვებს ბევრი დამ-
ტკიცება არ სჭირია: ყოველი უკანასკნელი
მეგრელი გეტყვის, რომ ასეთი ქურდობა,
კაცის კვლა და ნამუხის გატება, როგორც

* *

ამ გაზაფხულს ერთს სომეხს, რომელსაც იჯარით ჰქონია აღებული სახუმში მყოფი ჯარის საზრდო, რამდენიმე ასი ჰირიანი ხარი გაურეკია სამეგრელოზე, აფხაზეთზე და სამურზაყანაზე. მსლა გეტყობინებენ, რომ ამ ჯოგს დაუჭირებია იქაური მცხოვრებლების ხარკამბეჩი და ბევრი გლეხისათვის უკანასკნელი სარჩო წაურთმევია; ამ ჰირს ზოგი გლეხისათვის 50—100 ხარკამბეჩი მოუკლავს და სულ, როგორც ამბობენ, სამეგრელოში, აფხაზეთში და სამურზაყანაში 200,000 ხარკამბეჩადი დაუხრცია.

შრიგო არ იქნებოდა, მგონია, ვისიც რიგია, ამ გვარ ხალხის დამლუპველ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს.

* *

წასულს შაბათს (სექტემბრის 28-ს) ერთ საათს რვა მიწუტ ნაკლებ მთილისის მცხოვრებლებმა ერთი ნაწილის მზის დაბნელება ნახეს. დაბნელება თითქმის ორ საათს გაგრძელდა; 2 საათზე და 20 მიწუტზე თითქმის სამი მეოთხედი მზისა სრულიად დაბნელებული იყო; სამ საათზე და 48 მიწუტზე კი გათავდა. დაბნელების დროს დედა-მიწაზე ძალიან მკრთალი სხივი იყო მოფენილი და ჰაერი ცოტა არ იყო აგრილდა.

სრულ-მარწმუნე მკითხველს ნუ შეეშინდება: ეს მზის დაბნელება არც მეორეთ მოსვლას, არც დედა-მიწის დაწვას, არც გველემზის გაგულისებას, არც ქათმის ჰირს, არც სისხლის ღერას, არც დიდი სახელმწიფოს დაღუპვას და არც პატარას აღდგენას არ მოასწავებს...

ამის მიზეზი უბრალო გარემოებაა: დედა-მიწასა და მზეს შუა მთავრე ჩაღვა და იმან დაჩრდილა ჩვენი მანათობელი და სითბოს მომფენი პლანეტი. . . .

* *

სამშაბათსა და მთხშაბათს მცხეთის დღესასწაულზე, წელს, ჩვეულებრივზე მომეცემული ყრილობა იყო. რკინის გზამ გაუადვილა თფილისელებს იქ მისვლა და დროების გატარება. მრი დღის განმავლობაში ზურნა, სამხედრო მუზიკა, ჩვენებური ფალანდოლა, სმა, ჰუმა არ გაწყნარებულა. . . .

* *

ამ დღეებში ჩვენ მოგვიყვანა მუთათისილამ, უფ. ინგილო ჯანაშვილისაგან, ერთი წერილი, რომელშიაც, სხვათა შორის, ერთი აქაური ვაჭრის შემდეგი სიტყვებია მოყვანილი:

„მისი მიზეზი, რომ ვაჭრები ქართულ გაზეთს იშვიათად იწერენ და არ ჰკითხულობენ, ის გარემოე-

ახლა გახშირებულია სამეგრელოში, არასოდეს არ ყოფილა; ამასვე გვიმტკიცებს გამოუღვეველი პროცესები ქურდობის თაობაზე.

ამას დაამატეთ პატიოსნების დამცირება, ერთმანეთის ღალატი და სიძაგელი შური ურთიერთ შორის, და მაშინ თქვენ წარმოგიდგებათ ნამდვილი სურათი აზნაურობის ნაწილისა.

ამ ნაირ საზოგადოებაში არავითარ ქუმმარტებას და კეთილ საქმეს არ ექნება ფასი; ამისთვის ძნელად საფიქრებელია, რომ ამ საზოგადოებამ მიანიჭოს თავიანთ შეილებს განათლება. მაშასადამე ამ საზოგადოებას შემდეგაც არ მოეღოს კეთილი მომავალი; ამ ნაირ მდგომარეობას გამოუყვანილი და სიღარიბე მოსდევს.

ბა ვახლავთ, რომ ამ გაზეთსა საფუძო ცნობები აქლია.“

ამ ნაირი საყვედური „დროების“ რედაქციას ხშირად გაუგონია და, თუმცა ამ საყვედურს ერთი მხრით კანონიერი საფუძველი ექნება, მაგრამ, ზოგიერთი შესაწყნარებელი მიზეზის გამო, ჩვენ ჯერ-ჯერობით ვერ დაგიყვამოფილებია ჩვენი პატივცემული ვაჭრების სუელი. მრთს შემდეგ ნომერში ამ საგანს ჩვენ ცალკე სტატია უნდა უძღვინათ და ამიტომ ეხლა იმის მეტს არას ვიტყვი, რომ მომავალი წლიდამ ჩვენ განგეზრახავს გაზეთის გამოცემაში რამდენიმე ცვლილების მოხდენა და ამ ცვლილებებში საეჭრო ამბებსა და განცხადებასაც კანონიერი ყურადღება ექნება მიქცეული.

* *

მისი იმპერატორებითი შმაღლესობა ძავეკასიის ნამესტნიკი წასრულ შაბათს მობრუნდა ბორჯომიდან ქალაქს და მეორე დღეს მლადიკეკავს წაბრძანდა.

* *

გაზეთი „მთ. მოამბე“ გეცნობებს, რომ ძავეკასიის მთავარ სამმართველოს შფროსი, ბარონ ნიკოლაი, თერთმეტი თვის ვადით ეთხოვება სამსახურს და ძალაქილამ მიდის. ამ დროს განმავლობაში მის მოადგილეთ სტატს-სეკრეტარი, თ. ბ. ბგრატიონ-მუხრანსკი იქნება.

სექტემბრის 28-ს მჩჩაძინში სომხების სასულიერო აკადემია გაიხსნა, რომელშიაც სომხის სამღვდლო პირებმა სწავლა უნდა მიიღონ და მღვდლებად მოემზადონ.

„დროების“ კორექსორდენსია

სოფ. ზემო-მაჩხანი, (მიზიყი) 25 სექტემბერი.

ნათქვამია: „კარგს მთქმელს, კარგი გამგონი უნდაო“. ამისი არ იყოს, თუ ყოველ რიგთან წესდებულებას, რიგთან საქმეში მომყვანრც არა ჰყავს, თუ წესდებულება დარჩება მხოლოდ წესდებულებად და არ განცხრველდება, მაშინ დაჰკარგავს თვის ძალას და მნიშვნელობას, მოაკლდება იმ სარგებლობას, რომლის იმედით და სურვილით დადგენილია, და რიგთან წესდებულება გადქცევა მხოლოდ ხმად, მლაღადებელად უღაბნოსა შინა.

ატილოთ, თუნდა, ის ახალი წესდებულება, რომლითაც დაარსდა სასოფლო სასამართლოები; ეს წესდებულება რომ ფრიად

ასეთს უნუგეგმო მდგომარეობაში არის ერთი მხარე სამეგრელოს ხალხისა.

ეს ზემო-გამოთქმული აზრი მოგახსენე ერთს პატიოსანს თავადიშვილს და უთხარი, რომ ამ საშინელი მომავლიდამ განათლების მეტი ვერა გიხსნისქო; ამასვე მან მიპასუხა შემდეგ:

— რა ექნათ! ბავზარდეთ შეილები, ადვოკატობით ამოგვადგეს, არ გავზარდეთ-ქურდობით; მაინც მოსულა ჩვენი ბედის წერა, ვიყოთ ისე, როგორც ვიყავით, შეუჩვეველ ღნინს შეჩვეული ჰირი სჯობიაო. მიპასუხა ჩემმა ნაცნობმა და ამოიხენწმა ნაღელიანათ.

სულ სხვაწაირ სურათს წარმოგიდგენს მეორე მხარე—გლეხობა.

ჯათაში და მუშაობაში აღზრდილი ხალხი

სასარგებლოა, ამას ეტეში ვერეინ შევა, ვერეინ ეტყვის, რომ ეს ყველასთვის ერთობ სასურველი საქმე არ იყოს. მაგრამ ვერც კი ვინმე იმას დაჰტარავს, რომ ბერის შემთხვევაში მისი გონიერული მიზანი და მნიშვნელობა არ მართოდება, რომ ხშირად არა კეთილ სარგებლობენ ხსენებული წესდებულებით ის პირნი, რომლებიც არიან სასოფლო სასამართლოების წარმომადგენლები და რომლებზეც სრულებით დამოკიდებულია ასრეთი ანუ სხვაფრივი დაბოლოება მათთვის მიწდობილი საქმისა.

რამდენათ უეჭვოა ეს უკანასკნელი აზრი, მკითხველს შეუძლია შეიტყოს, თუ ჰქონია ანუ აქვს მას რომელიმე დაახლოება სოფელთან და სოფლის ხალხთან, სასოფლო სასამართლოებთან და იმათ წარმომადგენელთან. ამის გამო მე საქროდ აღზრეცხ შეუდგე ნათქვამი აზრის დამტკიცებას, მხოლოდ ვაცნობებ მკითხველს ერთს ფაქტს, ფრიად საყურადღებოს და ამ ჩემი სალაპარაკო საგნის შესახებს.

ამ მოკლე დროში ერთმა აქაურმა ოჯახის შეიღმა, მცხოვრებმა ს. ძოტანში, დაკარგა სკიერიდამ ვერცხლის ქაშარი. ამის მოპარვის ეჭვი თავის შეიღზედ შეიტანა, იმისთვის პირველად, რომ ეს უკანასკნელი სხვა დროსაც ჰყოლოდა მას წმენიშნული ამ გვარ კეთილ საქციელში და მეორეთ, რომ უცხო ქურდი ასე ადილოდ ვერ დასტოვებდა ნივთებით საცეც სკიერსაო. ეს გარემოება ნივთის დამკარგველმა შესიილა სოფლის მოსამართლეებს, რომლებს კიდევ სთხოვა დავსაჯათ შინაური ქურდი, რომ სხვა დროს ამის მზავსი ვეღარა გაეგებდა. პატივცემულ მსაჯულებს, ნაცვლად იმისა, რომ მოჩიერის თხოვნა დაექმყოფილებინათ, დაებარათ ბრალდებული და მიეცათ ამ ნაირი კითხვა.

— რას მოგეცემ, რომ მამი შენის საჩიერიდან წმინდათ გამოგიყვანოთ და ეს საქმე იმას მოგახვიოთ კისერზედ, ვისაც შენ გეჩვენებ (*)?

ამ ყმაწვილს აღეთქვა მსაჯულებისთვის 50 მან, იმ პირობით, რომ ამ სირცხვილიდგან ეს გამოეხსნათ და იმის ბიძაშვილი კი გაებათ, რომლისაც, დროდგანვე მათის გაყრისა, ბრალდებული დაუძინებელი მტერი ყოფილიყო იმ უბრალო მიზეზისაგან, რაც ხშირათ მოხდება ხოლმე მოძმეთა შორის, ქონების მეტ-ნაკლებ გაწილ-გამოწილაზედ. ხსენებულ მსაჯულთ, მიეღოთ თუ არა აღთქმული, აღარ დაეხანებინათ თვისი განზრახვა, რომლის აღსრულებისთვის შეედგია

(*) ეს გადმოცეა მე კეთილ სარწმუნო პირმა, რომლისთვისაც ხსენებულ მსაჯულთ თითონვე ენაბათ.

განთავისუფლდა და შეუდგა იმ ხელობას, რომელიც უფრო ეხალისებოდა მას.

როგორც დაძინებულმა კაცმა გამოიღვიძოს და ხელი მოჰკიდოს დატოვებულ საქმეს, ისე სამეგრელოს გლეხობამ ერთობით მოკიდა ხელი ვაჭრობას და ამ მოკლე დროში მიაღწია იქამოდე, რომ ეხლა მესამედზე მეტმა იცის რამე ხელობა: ნოვაროსისკილამ დაწყებული მუთათისამდინ დიდი და პატარა ქალაქები სულ მეგრელებით არის გავსებული; მათ ნახეთ ყოველგან: მოჯამაგირეთ, ვაჭრათ, მოხელეთ, მატროსათ და სხვა... ამ ნაირად ყველასთვის ცხადია მეგრელების კომერციული (ვაჭრული) ლტოლივილება და

ნათ ესრეთი პლანი: დაებარებინათ მოჩიერი და ეთქვათ:

— თუ ვინდა, რომ შენი მტრის ვაჭარი ამოიყარო, დრო ეხლა გაქვს. ამაზედ უკეთეს შემთხვევას ვეღარ იპოვი იმის დაღუპვისთვის, ქალღლი შემოიტანე ჩვენთან იმ საგანზედ, რომ ვითომც სკიერიდამ ქაშართან ფულიც დაჰკარგე და ეჭვი იმ შენ მტერზედ გაქვს. ჩვენ, შენი შემოტანილი ქალღლის ძალით, გამოძიებას მოვანდენთ და სახლს გაუშინჯამთ იმას მაშინ, როდესაც შინ არ იქნება, შენს შეიღს თან წაგიყვანთ, ქაშარსაც თან წააღებინებთ, რომ სახლის შინჯვის დროს ეს უკანასკნელი საღმე მიაგდოს და შემდეგ, მითომ პირველად ხედამს, დაიძახებს; „აი, ჩვენი დანაკარგი აქ სადა ძევს!“ ამ საქმეზედ ჩვენ აქტს შევადგენთ, რომლითაც შევამოწმებთ, რომ შენი დანაკარგი, რომელსაც შენს შეიღს აბრალდები, გამოჩნდა შენი მტრისას. ამ აქტს, რასაკვირველია, წაიღებ გამოძიებულთან და ყველას ისე მოახსენებ, როგორც ჩვენ დაგარიგებთ.

როგორც სთქვეს, მართლად ისეც შეასრულეს. შემდეგ, ეს საქმე გადასცეს მოადგილე გამოძიებელს...

შინის-ხეველი.

საჩინო, 25 სექტემბერს.

საჩინოს პატარა მახრა (მუთათისის უეზღში) ისეთი მღებარეობის და ნამყოფიერი აღგილია, რომლის ტოლი მთელ მუთათში იშვიათად არ მოიპოვება. მე ამის მეტს არას ვწერ შესახებ საჩინოს მღებარეობისა, რადგანაც ეს კორრესპონდენცია არის სხვა მიზნით დაწყებული.

როგორც ყველგან ჩვენში, საჩინოს მახრის მცხოვრებნიც შესდგებიან თავადებიდგან, აზნაურთაგან და გლეხებიდგან; ამათში მხოლოდ გლეხობას აქვს გამართული სასწავლებლები, მაგრამ იმისთანა სასწავლებლები, სულ რომ არ იყოს, ბევრი არა დაგეაკლდება რა.


აქაურ სასწავლებლებში ისეთი მასწავლებლები მოუყვანიათ, რომელთაც ორი თუ სამი კლასი მუთათისის სასულიერო სასწავლებელში გაუთავებიათ, ისეც კიდევ ბაბუაჩემის დროს და, რასაკვირველია, არა რის მკოდნენი ასწავლიან ბავშვებს უთავბოლოთ, იმასაც კვირაში ერთხელა, რადგან ისინი სოფლის სასამართლოს მწერლობის თანადგებობასაც ასრულებენ.

საწყალი გლეხები, თუმცა ფულებს იხდიან, მაგრამ, უცოდინარობის გამო, მათ არ იციან, სად მიდის იმათი ექვს-ექვსი შაური,

ეს ლტოლივილება არის განათლების თავი, როგორც გვიმტკიცებს ყველა ძველი და ახალი ხალხების ისტორია.

ჩვენ ეხებათ, რომ სამეგრელოში ერთი წოდება (აზნაურობა) თან და თან მცირდება და მეორე კი მიდის განათლების და სიმდიდრის წყაროსაკენ.

ამის გამო თითქმის დარწმუნებით შეგვიძლია ეთქვათ, გვიან თუ ადრე, უზირატესობა დარჩება სამეგრელოში უფრო მდიდარს და განათლებულ გლეხობას, თუ აზნაურობა არ გამოეზიზღა და არ შეუდგა მუშაობას და განათლების მიღებას.



რომელიც კლასისათვის არის დანიშნული. რომ რამე გაეგებოდეთ, უთუოდ გაუფრთხილდებოდნენ ამ გვარ საქმეებს და ლოთების მავიერ კარგ მასწავლებელს იშოვნიდნენ.

თავად-აზნაურის შეიღებისათვის კი აქ არ არის არც ვაჭებისა და არც ქალების შკოლა, არც არავისა ყავსთ თავიანთი შეიღები მიცემული სასწავლებელში, გარდა მღვდლებისა.

ეს ახალი დროის მოთხოვნილებების დაუკმაყოფილება ჩვენი კეთილშობილებისაგან დაუდევრობას უნდა მიუყვროთ, თორემ რა უშავს, რომ შკოლა გახსნან. ბანაძის ძე იქნება, რომ თითო მოსახლე კეთილშობილთაგანმა გამოიღოს რამდენიმე ფული და ამ საზოგადო ჯამით დაარსდეს ორ-კლასიანი შკოლა? რა საკვირველია, თვით მანრაში შკოლის დაარსება უკეთესია, ვიდრე პატარა ყმაწვილის გაგზავნა სხვა ქალაქად გილზე, რადგანაც მშობლებს არ აქვს იმდენი შეძლება, რომ ბავშვს ცალკე ხარჯი აძლიონ და ფულიც იხადონ სწავლისათვის. იქ ბავშვს ყურის-მღვდელი არ ჰყავს, რომლის მიწვევით პატარა მოსწავლეები ეჩვევიან სიზარმაცეს, სიბინძურეს და ბაზარ-ბაზარ ხეტიალს. ბანაძე გერად არ ემჯობინებოდა, რომ ბავშვებს აქვე გახსნილ შკოლაში დაასრულებდნენ კარგ მასწავლებელს ხელ-ქვეშა, ორი კლასი თუ არა, პირველი მინც, და ამნაირი მომზადებული შემდეგ გაეგზავნათ ქალაქის სასწავლებელში?

თუ ჩვენი ესრედ წოდებული კეთილშობილები ასე არ მოიქცნენ, თუ იმათ ღირსეული ყურადღება არ მიაქციეს თავიანთი შეიღების გამოზრდას, ეჭვი არ არის, რომ რამდენიმე ათი წლის განმავლობაში იმათი აღზრდილი გლეხები სწავლის შემწეობით ყველაფერში გადაჭარბებენ თავის ნაბატონეებს.

თბილისი

ი. ძ. საჩინაველი

რუსეთი

რუსეთის მთავრობამ ამას წინათ უფ. ძობილოვი გაგზავნა ძულაში გამოსაკვლეველად — თუ რა და რა მადნეულობა იპოვება ამ ახლად დაპყრობილ ქვეყანაში. თავის მგზავრობის დროს, უფ. ძობილოვის, სხვათა შორის, ერთგვარი გარეული აბრეშუმის ჭია უნახავს, რომელზედაც მმართველობის მოქმედებში* საინტერესო ცნობებია დაბეჭდილი. ეს ჭიები ჩვეულებრივ აბრეშუმის ჭიებზე უფრო პატარაა და მოწითალო.

იმ ქვეყანაში, სადაც უბოვნიათ, ისინი სჭამენ იმ მცენარის ფურცელს, რომელსაც ჩვენში რძია-რძიას ეძახიან და რომლის ფურცლებში და ღერში თეთრი, რძის მსგავსი წვენია. პარკსაც ამავე მცენარეზე აკეთებენ ეს ჭიები. თუ პარკს კარგათ მოუარა კაცმა, ამოაბს უფ. ძობილოვი, ძალიან მაგარი და კარგი თვისების ქსელის გამოყენება შეიძლება. მართს აქაურ აბრეშუმის მომყვან მეოჯახეს უსინჯავს და მოუხდომებია ამ ჭიების თუთის ფურცლით რჩენა; მაგრამ, მესამე მიძინების შემდეგ, ყველა ჭიები დახოცილა. უფ. ძობილოვის ტაშკენტის მთავრობისათვის წარუდგინა ამ ახალი ჭიის კვერცხები და ცდინა: სხვაგან ივარგებს სადმე, თუ არა.

იმ ურთიერთ-დახმარებელ საზოგადოებას გარდა, რომელიც რუსეთის მწერლებმა გართეს პეტერბურგში, ესაა კიდევ მე-

ორე ამ გვარივე საზოგადოება იმართება რემდენიმე იქაურ გაზეთების თანამშრომელნი შეკრებილნი და გადაუწყვეტიათ, ფული გამოიღონ და ერთმანეთში ამ გვარივე საზოგადოება შეადგინონ, რომ, გაჭირების დროს, საზოგადოებას თავის წევრების დახმარება შეეძლოს.

* *

მარშაღში შესდგა ამას წინათ კამპანია, რომელსაც ჰსურს იკისროს იმ ქვე-ნაწილისა და სხვა მადნეულების წარმოება, რომელიც პოლშიაში მოიპოვება. ამ კამპანიას, რომლის დამაარსებლები წევრობდნენ პრო-ნენბერგი და იაკობ ნატანსონი, ერთი მილიონ და ნახევარი (1,500,000) მანეთი აქვს თავდაპირველად ამ საქმის წასაყვანად (6,000 აქცია, თითო 250 მანეთად). მართებლობას ამ კამპანიის წესდებულება დაუშტკიცებია.

* *

მდღეს მასრის სასამართლოში ამას წინათ ერთი ქალი გამოსულა და თავის საქმე თვითონვე დაუცავს. იმის მოწინააღმდეგედ ერთი იქაურა ნაფიცი ექილი ყოფილა.

მართა ამგვარივე შემთხვევა შორონეში-აც მომხდარა: ერთს ქურდობაში ბრალდებულ დამნაშავეს თავის დამცველად ქალი აურჩევია და სასამართლოს გადაუწყვეტია, რომ ამ ქალს უფლება აქვს დამნაშავეს დასაცველად ილაპარაკოს.

უცხო ქვეყნები

საზრანგეთი

ამ კვირაში აქ მიღებული გაზეთები ჯერ კიდევ მენისა და ლუარის დებარტამენტში რესპუბლიკური კანდიდატის გამარჯვებაზე ლაპარაკობენ.

ამორჩევებამდე თითქმის ყველა პარტიების გაზეთები ამტკიცებდნენ, რომ ამ კენჭის ყრაზე იქნება დამოკიდებული — თუ რომელ პარტიას უნდა მიეცეს უპირატესობა მმართველობის ფორმის დადგენაში. მაგრამ ეს, როდესაც რესპუბლიკური კანდიდატი აირჩიეს, ბონაპარტიელები, შამბორის მომხრეები და ორლენელები ამბობენ, ეს რესპუბლიკური კანდიდატის გამარჯვება ჩვენი სიგლახის, ჩვენ შორის უთანხმოების ბრალი არის, თორემ ხალხს სრულებით რესპუბლიკის დაფუძნება არა ჰსურს.

რამდენათ საფუძვლიანია ამისთანა მოსაზრება რესპუბლიკის მტრებისა — შემდეგი ანგარიში გვიჩვენებს: 1871 წლის 2 ივლისი-დამ ვიღვე 1874 წლის 13 სექტემბრამდე საფრანგეთის სხვა და სხვა დებარტამენტებში სულ — 182 დებუტატი ამორჩევა იყო და ამ რიცხვში ხალხმა — 150 რესპუბლიკელი დებუტატი აირჩია და მხოლოდ — 32 მონარხიელი.

ამ ამორჩევებში რვა მილიონ ნახევარ კაცმა ჩაგდო კენჭი და ამ რიცხვიდან თითქმის ექვსი მილიონის ხმა რესპუბლიკის სასარგებლოდ იყო.

როდესაც ნაციონალური პრეზიდენტი ხოვნილია, დებუტატები დებარტამენტებში და სხვა ქალაქებში მიდიან და იქ პოპულარდნ დროს და შემთხვევას, რომ ილაპარაკონ.

ამ მოკლე ხანში ტიერს წარმოუტყვამს სიტყვა, როდესაც ძაზიმირ პერიეს მამულში ყოფილა, და შულ სიმონს — ქალაქ ანგულემში. ტიერს, სხვათა შორის, უთქვამს მიწილში თავმოყრილ ხალხისათვის:

„ღარწუნებულნი იყავით, რომ ჩემი მგზობა-რის-ძაზიმირ პერიეს შემწეობით, ჩვენ საფრანგეთში მკვიდრი რესპუბლიკის დადგენას მოვახერხებთ.“
შულ სიმონს დიდი სიტყვა წარმოუტყვამს, რომელშიაც წინ-დახედულობას, ზომიერობასა და მშვიდობიანობის დაცვას ურჩევდა რესპუბლიკელებს. სიტყვა:

„ჩვენ მთელ ქვეყანას უნდა გჩვენოთ და დაუშტკიცოთ, რომ რესპუბლიკა არცოჯახისა, არც სარწმუნოებისა და არც მეცნიერების წინააღმდეგი არ არის; რომ ის არის მხოლოდ ცრუმორწმუნოებისა და ბოროტების მტერი; რომ იმას კეთილ-დღეობისა და თავისუფლების მკვიდრ დაარსება ჰსურს, და ანათუ ჰსურს, შეუძლია კიდევ.“

— რუსულ გაზეთებში დაბეჭდილია ტელეგრამა, რომელიდამაც ეტყობულობთ, რომ მმართველობას ორი რესპუბლიკური გაზეთისათვის (Siècle და XIX Siècle) ქუჩაზე ცალკე ნომრების გაყიდვის უფლება წაუთმევი.

გერმანია

ეს ორი თვეა გერმანიაზე ისე არ დაიწყებენ ლაპარაკს, რომ მსანაიც და რუსეთიც არ ახსენონ. საქმე იმაშია, რომ გერმანიაში პირველად ჩამოგდო დიპლომატიაში იმაზე ლაპარაკი, რომ ესლანდელი მსანიის მმართველის — მარშალ სერანოს — მმართველობა ყველა სახელმწიფოებს კანონიერად ეცნო.
ამ წინადადებას რუსეთი არ დაეთანხმა; იმის უცხო საქმეების მინისტრი ამტკიცებს, რომ, რადგან სერანოს ძალადობით და ხალხის დაუნებურად ჩაიგდო ხელში მსანიის გამგებობა, ამიტომ იმის მმართველობის კანონიერად აღიარებაზე ჩვენ არ დავეთანხმებით.

პოლიტიკოსებს ეგონათ, რომ ეს გარემოება რუსეთსა და გერმანიას შუა უთანხმოებას და უკმაყოფილებას ჩამოაგდებო. მაგრამ ეს მოსაზრება უსაფუძვლო გამოდგა: რუსეთის მინისტრი უცხო ქვეყნების საქმეების თავის ოფიციალურ გაზეთში პირდაპირ აცხადებს, რომ სერანოს მმართველობის კანონიერად ან უკანონოდ აღიარება ისეთი საქმე არ არის, რომელსაც რუსეთსა და გერმანიას შუა რამე უკმაყოფილების ჩამოგდება შეეძლოს; რუსეთს, გერმანიასა და სერანოს შუა რამე უკმაყოფილების ჩამოგდება შეეძლოს — გერმანიის პარლამენტი ესაა დროებით დახურულია და, გაიხსნება თუ არა, სხვა და სხვა პარტიები და მმართველობა ბევრი ახალი კანონის პროექტების წარდგენას აპირებენ. სხვათა შორის, მომავლ სხდომებისთვის მმართველობას დაუზადებია ახალი წესდება სახალხო განათლების თაობაზე.

ოსმალეთი

ოსმალის სახელმწიფო კანონების ძალით, ხონთქის ტახტის მემკვიდრედ ყოველთვის ის რჩება, ვინც გარდაცვალებული ხონთქის ოჯახში ყველაზე უფრო ხნიერია. ამ კანონის ძალით, თითქმის მუდამ რომლისმე ხონთქის გარდაცვალებებს შემდეგ, იმის ტახტს ძმა იჭერდა.

მხლანდელ ხონთქარს აბდულ-აზისს ამ მემკვიდრეობითი წესის შეცვლა ჰსურს და განზრახვა აქვს, გარდაცვალების შემდეგ თავის უფროსი ვაჟი იუსუფ-იხედინი დასცეს ოსმალის ტახტზე. მაგრამ, როგორც ამბობენ, ხალხი ამას ძალიან ეწინააღმდეგება. მხლა სულთანს უნდა თავის ვაჟს სარდლობა მისცეს ყველა ოსმალის ჯარებისა, რომ იმის უფროსობას ცოტ-ცოტათ მიაჩიოს ხ ლხი.

საქართველოს ცხოვრება
VI მსოფლიო
ქართული
ლითონი კვებრი

976 წელს საბერძნეთში იმპერატორად იყო მსილი მეორე. ამის დროს საბერძნეთი ძალიან დიდს ვასაქირში ჩაეარდა. მართმა წარჩინებულმა ბერძენმა, რომელიც იმპერიის აღმოსავლეთის ნაწილებში მართველად იყო, გამოუტანდა მასილს ურჩობა; ამის სახელი იყო ბარდა სკლირი. ამ კაცმა რამდენჯერმე დამარცხა იმპერატორის ჯარები და ისრე შეაშინა ძალბატონებოლის სამეფო კარი, რომ იმან არ იცოდა, რა ექმნა. შეეღა იმისი წარჩინებული სასალარები დამარცხებულნი იყვნენ; ჯარები ამოწყვეტილი ჰყვანდა და მრავალი ქალაქები სრულიად აოხრებულნი იყო.

ამ ვასაქირის დროს იმას ერთილა იმედი ღარჩნოდა: ეს იმედი იყო საქართველო. იმპერატორმა მასილიმ საჩქაროდ მოახდინა სახელმწიფო თათბირი. შეიყარნენ ყველა ნაზირ-ვეზირები და გადასწყვიტეს საქართველოსთვის შემწეობის თხოვნა.

ამ დროს ქართველებს ძლიერ დიდად ჰქონდათ ხმა გაეარდნო. იმათი ხმლისა და ხანჯლის ხმა მთელს აზიაში და საბერძნეთში ქუხდა. მაგრამ ქართველებში ყველაზე უფრო წარჩინებულნი და სახელგანთქმულნი მეომარნი იყვნენ ბარე-მართლში მცხოვრები ახალციხელები და სამცხე-სათაბაგოელები. ამ სამცხე-სათაბაგოში მთავრობდა ღვეითი ტურატალატი. ამ კაცის სახელიც მეომრობით ძლიერ განთქმული იყო.

ამ ვასაქირის დროში საბერძნეთის სამეფო კარმა გადასწყვიტა, რომ ამ ღვეითი ტურატალატს ესთხოვოთ შემწეობა; დაპირეს დიპლომატიური წერილის გამოგზავნა; მაგრამ კაცს ვერ მოულოდნენ, რომ ეს წერილები გამოეტანებინათ. ბოლოს, დიდს ფიქრს შემდეგ, სამეფო თათბირმა მოიგონა ბერი მონიკი, რომელიც ამ დროს, შემდეგ მამაკური მხედრული ცხოვრებისა, იმყოფებოდა ათონის მთაზე და ევედრებოდა ღვეითს. მ ბერი მიიწვიეს, უამბეს საბერძნეთის ვასაქირი მდგომარეობა და სთხოვეს, რომ წერილები წამოეღო საქართველოში ღვეითი ტურატალატთან.

ის დათანხმადა, წამოიღო წერილები და მოვიდა ესლანდელს ახალციხის მანრაში. ღვეითი ტურატალატს იმან აუხსნა ის საარგებლობა და სახელი, რომელსაც საქართველოს ერი შეიძენდა ამ შემწეობით. ამისთანავე საბერძნეთი საქართველოს უთმობდა მცირე აზიაში მიწებს. ამ გვარის ჩრევის შემდეგ, ღვეითი დათანხმადა; მისცა თორმეტი ათასი რჩული ცხენოსანი მხედარი და გაისტუმრა. მონიკე რომ მივიდა საბერძნეთში, იმპერატორს უარი უთხრა სასალარობაზე; მაგრამ ქართველებმა და იმპერატორმა დიდს ხეწწით დაითანხმეს.

ამამაცმა ბერმა მონიკემ, მართლის აზნაური შეიღმა, გაიძრო ბერობის სქემა, შეიარაღდა მშვენიერად, შემოირტყა ქართული ხმალი, მიუძღვა ქართველების ჯარებს და დაუწყო ბარდა სკლირის ძებნა მცირე აზიაში. ამ ძებნაში ის დაბინადა თავის ჯარებით ბალირის მდინარის ხეობაში და უცდიდა მტერს. ეს ადგილი ამისათვის აღარჩია, რომ აქ უფრო კარგათ იმოქმედებდა ცხენოსანი ჯარი, ვიდრე სხვაგან. სკლირმა რომ შეიტყო ეს აზნავე, მაშინვე გაუგზავნა სა-

ჩუქრები ალბის ემირს და სხვა... მარცხდნენ, ან სრულიად ამოწყდებოდნენ...

ამის შემდეგ მონიკე დაბრუნდა თავის ჯარებით პოსტანტინებოლში...

ზახარებელი მონიკე დაბრუნდა ათონის მთაზე და აღაშენა იბერიის მონასტერი...

აი, ასრეთი მამაცი და სახელოვანი ყოფილან უწინდელ დროში ქართველები...

ინგლო ჯანაშვილი.

ნარკვი

წრეანდელი ბრესლაულის კრება ბუნების გამოძე ძიებელთა შესანიშნავი იყო იმით...

* *

თავის-მკვლელობა მეროპიაში თანდ თან მატულობს.

* *

*) ბარათა-შვილი თავის საქართველოს ისტორიის III-მე რვეულში, 28 გვერ. ამბობს: ამ შემთხვევაზე...

საფრანგეთში 1821 წ. 1,73 კაცმა და ქალმა მოიკლა თავი; 1872 წელს კი 5,275; მათა სადამე 40 წლის განმავლობაში თავის მკვლელობის რიცხვი გასამებულა.

ბატონი უფრო ხშირად დამბაიხთ ან თოფით იკლავენ თავს, ქალები წყალში ვარდებიან.

* *

მითი დანიელი ექიმის გამოკვლევით მწვანე შხალეობიან ოთახში ძილი ან დიდხანს ყოფნა ძალიან მავნებელია კაცისათვის; ექიმი ამტკიცებს, რომ მწვანე შხალეობი იხეთი საღებავი ურევილია...

* *

ლონდონის ერთს სასახლეში ამას წინათ კატების გამოფენა ყოფილა. ინგლისიდან და სხვა ქვეყნიდან მოუყვანიათ საუკეთესო და უდიდესი კატები...

* *

მენაში კიდევ უფრო ახირებული გამოფენა ყოფილა: დიდ-ცხვირიანების! ამ გამოფენაზე ოთხმოცი ისეთი კაცი და ქალი გამოცხადებულა...

* *

ბამოჩენილი ინგლისის სახელმწიფო კაცმა ლორდ ბლადსტონმა — ამ მოკლე ხანში ერთი შესანიშნავი წიგნი გამოცა, რომელთაც კათოლიკე ეკლესიაზე სხვათა შორის, შემდეგი სიტყვებია მოყვანილი: „თუ კაცმა თავის სამოქალაქო და პატრიოტული ვალდებულებანი არ უარ ჰყო და ზნეობით და სულიერ თავისუფლებებზე არ აიღო ხელი, ისე იმას არ შეუძლია მიემხროს იმ ეკლესიას, რომელიც ყველა თანამედროე აზრებსა და კაცობრიობის ისტორიულ წარმატებას ეწინააღმდეგება.“

* *

ამას წინათ ერთი ნაცნობი კაცი მოსულა ბარბაღლისთან და რაღაც საქმის დასაწყებად ფულები უთხოვინა. პეკლამ იცის, რომ ბარიბაღლის ფულებს არა აქვს. მაგრამ უარის თქმა არ ნდომებია და იმითმ ნებაჲლის ერთს ბანკში შემდეგი წიგნი მიუწერია:

„მეცით ამ კაცს ფულები; პირობას გაძლევთ, რომ უკანვე მიიღებთ. თუ საჭირო იქნება, გირაოთ ჩემი კუნძული, ძაბრეა, მიიღეთ, რომელსაც ეხლა ფახი დედევა, რადან კარგათ შეყვამუშავე.“

ნებაჲლის ბანკმა სიტყვებზე ენდო ბარიბაღლის და იმწამხვე მისცა იმ კაცს, რომელიც ეჭირებოდა.

* *

ნაპოლეონის ერთი შამომავალთაგანი, რომელიც ამ უკანასკნელ დროს ნეაპოლში ცხოვრობდა, რაღაც სხვა და სხვა ავაზაკობისა და ტუდ-კაცობისათვის იქაურ მთავრობას დაუჭერია და სამართალში მიუცია.

* *

— მეტტინგენის უნივერსიტეტში ერთ რუსის ქალს სოფია პოვლევესკისას დოქტორობის ღირსება მიუღია, რომელსაც თავისი თხზულებით მათემატიკის ცოდნა გამოუჩინა.

* *

— შრთს მეთვალმარგალიტე ნემცეს გამოუგონია თვლების ხელოვნობით კეთება. ამბობენ, ასეთ თვლებს აკეთებს ეს კაცი, რომ ძალიან გამოცდილი თუ გამოიცნობს და გაარჩევს ნამდვილი თვლებისაგან, თორემ სხვა ვერაფერია.

ბანსხადებანი

თბილისის გუბერნიის ახანურობას

ზედახედეველი კომიტეტი თბილისის ახანურობის საადგილ-მამულო ბანკის მიიწვევს თბილისის გუბერნიის ყველა თავად-ახანურებს, ვისაც კი ბანკის და მამულმამულო რიცხვში შესვლა სურს...

ზედახედეველი კომიტეტი თბილისის ახანურობის საადგილ-მამულო ბანკისა უსხადებს თბილისის გუბერნიის თავად-ახანურებს, ვისაც გულგნო პირადის თავისუფლებისათვის სასყიდელი მიუღია და...

უფ.—ნი ალიხანოვი, მიზანდარი და საყვანელი ამ წლის პირველის ოკტომბრიდან მიიწვევენ იმთ, ვისაც სიმღერისა და ფორტეპიანოზედ თამაშის სწავლა სურს...

პირობები შეიძლება შეიტყონ დილის ცხრა საათიდან ნაშუადღეის ორ საათამდის, ხსენებულს შკოლაში, საცა მსურველები დროზე უნდა ჩაეწერონ.

ისყიდება 10,000 ლაგა,

რომელიც ახლად მოტანილი არიან საზღვარს გარეთიდან. ეს ლაგები ბევრად უკეთესია უწინდლებზედ, უკეთესი მოწყობილობის არიან, ასე რომ ცეცხლი არ გაუჩნდებათ.

ლაგების საწყობი მაქვს შაბუროვის სახლებში, სასახლის წინ და მარჯვნივ — კუთხაში, შორანცივის ძეგლის პირდაპირ. მალაქს გარეთ მცხოვრებლებს შეუძლიანთ პირდაპირ მაგაზინში გამოგზავნათ მოთხოვნილება.

ცატუროვი.

მაცნობებ საზოგადოებას, რომ მე-ესხნი მუთაისში კანტორას, სადაც მძღებრა დაწერა და შედგენა, როგორც, შავად, ეგრეთვე თეთრათ, ყოველ გეოგრაფიკულ-სახეობისა, პასუხებისა და სიგლების პროექტებისა.

პოლ. ას. სიმონ ივანეს ძე მესხი.

ქქესის თვის ანგარიში ოძისის გამსახეველ-შამახველის ამხანაგობის აღმ. მიტაჲისა 1874 წლის 21 მარტიდან 21-ს სექტემბრამდის...

- ა.) შემოსავალი 1.) წვერთაგან შემოტანილი საწილო ფული... 1470 მ. 40 კ. 2.) სესხი, რომელიც ამხანაგობამ აიღო დამფუძნებელთაგან... 1500 მ. 3.) ამხანაგობამ იესხა ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისაგან და კერძო პირთაგან... 2110 მ. 4.) სასარგებლოდ შეტანილია კერძო პირისაგან... 40 მ. 5.) სარგებელი აღებული გასესხებულის ფულისაგან... 216 მ. 6.) დაბრუნდა სესხი ახლ ვადა მიუცემული... 100 მ. სულ შემოსულა 5,481 მ. 40 კ.

- ბ.) მასავალი 1.) მასესხებულა... 4,350 მ. 2.) შეტანილია ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში... 150 მ. 3.) სარგებელი მიცემული ნასესხედ ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში... 42 მ. 46 კ. 4.) დაბრუნდა გამეფობაზედ... 285 მ. 50 კ. 5.) სარგებელი დაბრუნდა ვადაზედ წინათ გარდახდილის ნასესხისა... 1 მ. სულ გასულა 4,828 მ. 96 კ.

- გ.) მასხა. 1.) შეტანილია ტფილისის საეპრო ბანკში... 100 მ. 2.) ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებამ გამოგვირცხა წესდების თანხად... 5 მ. 30 კ. 3.) ნაღდი ფული არის კასხაში... 547 მ. 14 კ. სულ 652 მ. 44 კ. გასავალი არის 4,828 მ. 96 კ. ერთიანი ჯამი 5,481 მ. 40 კ. გამოგები: მიხეილ შადგოვი. ბრიგოლ მსეფოვი.

გიგლიოგრაფიული ცნობა. იბეჭდება და მოკლე დროში გამოვა გასასყიდათ „სამაშაწილო კონა“ — კანუ პირველ-დაწყებითი მოთხრობანი ბუნების მეცნიერებებიდან, პირველი ნაწილი, შამდანილი ი. გოგაბაშვილისაგან.

დაიბეჭდა და ისყიდება მუთაისის სასულიერო სასწავლებელში და ახალციხეს ანნა მუსხელიანისას სახელმძღვანელო რუსული ენის სასწავლებელად ქართულ ახალ მოსწავლედ ემაწვილები სათვის (Руководство къ практическому изучению русскаго языка для грузинъ) შედგენილი ზე ქალანდარი-შვილისაგან. შასი სამი აბაზი.